დანართი №1

საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების კურსის ანოტაციის ფორმა

კურსის სახელწოდება: საარჩევნო სისტემები და ტექნოლოგიები

კურსის მოცულობა: 4 კვირა (კვირაში 2 შეხვედრა 3 საათიანი), სულ 24 საათი.

კურსის ხელმძღვანელი: პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი ლევან ოსიძე.

კურსის განხორციელებაში მონაწილე მასწავლებლები: ლევან ოსიძე

კურსის სამიზნე ჯგუფის აღწერა: კურსი განკუთვნილია ეკონომიკური პროფილის ფაკულტეტების სტუდენტებისა (ბაკალავრები, მაგისტრანტები, დოქტორანტები) და სახელმწიფო და კერძო სექტორის წარმომადგენლებისათვის, რომლებიც ფლობენ ინლისურ ენას საწყის დონეზე.

კურსში ჩართვის წინაპირობა მსმენელთათვის: მიღებული უნდა ჰქონდეთ სრული საშუალო ან უმაღლესი განათლება.

კურსის მიზნები და მოსალოდნელი შედეგები:

მსმენელებმა გაიგონ არჩევნების არსი, გაერკვიონ ფსეფოლოგიის ძირითად ნიუანსებში, ამ მიზნით მოახდინონ საარჩევნო სისტემების და ტექნოლოგიების, საქართველოს კონსტიტუციის ძირითადი დებულებებისა და საარჩევნო კოდექსის შესწავლა, რათა სამომავლოდ გამორიცხული იქნას პოლიტიკური ოპონენტის მიერ საარჩევნო პროცესის გაყალბება და კამპანია ჩატარებული იქნას საარჩევნო კანონმდებლობის სრული დაცვით.

მონაწილეთა შეფასების სისტემა:

დასწრება – 20

საშინაო დავალება – 30

ზეპირი გამოცდა - 50

სერტიფიკატის მინიჭების მოთხოვნები: მსმენელებს **51** ქულის და უფრო მეტის დაგროვების შემთხვევაში გადაეცემათ სერთიფიკატი.

კურსის სტრუქტურა და შინაარსი:

მსმენელები დაეუფლებიან გარკვეულ ცოდნას დემოკრატიული და სამოქალაქო საზოგადოების არსზე, ძირითად საარჩევნო ტექნოლოგიებსა და სოციალურ-კულტურულ თემებზე; დაასრულებენ საარჩევნო ტექნოლოგიების ძირითად კურსს; დაეუფლებიან საბაზო განათლებას კონსტიტუციონალიზმის არსა და არჩევნების ჩატარების ძირითად პრინციპებზე და შეძლებენ თავიდან აიცილონ არჩევნების პროცესის გაყალბება საბაზო კურსის ფარგლებში.

# შეხვედრა	**სესიების თემები**	**საათების რაოდენობა თითოეული სესიისათვის**	**ლიტერატურა**
1	დემოკრატიის არსი და რაობა, დემოკრატიის ძირითადი ტიპები და ფორმები		1. საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული 1995 წლის 24 აგვისტოს. 2. საქართველოს საარჩევნო კოდექსი. 3. ლ. ოსიძე – საარჩევნო სისტემის რეფორმა საქართველოში,
2	არჩევნები, როგორც დემოკრატიის გამოვლენის რეალური საშუალება, საარჩევნო სისტემები და ტექნოლოგიები	3	
3	საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების ჩატარების წესი	3	
4	საბჭოთა პერიოდის დროინდელი კონსტიტუციების მოკლე მიმოხილვა, საბჭოთა არჩევნების არსი	3	

5	საქართველოს საარჩევნო კოდექსის მოკლე მიმოხილვა, ძირითადი დებულებების პრაქტიკული ანალიზი და სინთეზი	3	სადოქტორო დისერტაცია, თბ., 2008 წ.
6	საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება და წინასაარჩევნო მარათონი	3	
7	როგორ ავიცილოთ თავიდან არჩევნების პროცესის გაყალბება	3	
8	არჩევნების მიმდინარეობა და შედეგების შეჯამება	3	

კურსის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ–ტექნიკური რესურსები: აუდიტორია, დაფა, საპრეზენტაციო საშუალებები, საქართველოს 1995 წ. კონსტიტუცია, საქართველოს საარჩევნო კოდექსი.